საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *თინა ვაშაყმაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	93	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

თინა ვაშაყმაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თინა ვაშაყმაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს რვა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მეექვსე ნაწილით გათვალისწინებული სამი, ასკ-ის 125-ე მუხლის მე-6[2] ნაწილით გათვალისწინებული ორი, ასკ-ის 125-ე მუხლის

		პირველი ნაწილით გათვალისწინებული და ასკ-ის 125-ე მუხლის მერვე ნაწილით გათვალისწინებული ორი სამართალდარღვევა. აღნიშნული სამართალდარღვევებისათვის შეფარდებული ჯარიმები გადახდილია დროულად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პატიოსნებით, შრომისმოყვარეობით, წინდახედულობით თავის საქმიანობაში. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. თინა ვაშაყმაძე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია როგორც გაწონასწორებული, ობიექტური, მტკიცე და პრინციპული პიროვნება, რომელიც გადაწყვეტილებას საქმის სრულყოფილად შესწავლისა და განხილვის შედეგად იღებს. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ

ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი.

3. პიროვნული და პროფესიული ქცევა

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი გაწონასწორებული, მობილიზებული და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას, გულახდილობას და კორექტულობას. კანდიდატის ქცევას, როგორც სასამართლოს შენობაში, ასევე მის გარეთ პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ მის კორექტულობას და თავდაჭერილობას და აღნიშნავენ, რომ მას შესწევს უნარი სხვისი განსხვავებული აზრის მოსმენის.

არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, თინა ვაშაყმაძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი ერთ შემთხვევაში მონაწილეობდა მოპასუხე მხარედ სასამართლოში. აღნიშნულ საქმეში სასამართლო განჩინებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე. კანდიდატის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა.

4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია

კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-

		შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით იურიდიულ წრესა და საზოგადოებაში. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში რაიმე (პოზიტიური ან ნეგატიური) ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, თინა ვაშაყმაძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა რვა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები (ჯარიმები) გადახდილი აქვს კეთილსინდისიერად, კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	**შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**	**კომენტარი**

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ოთხ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებასა და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ თინა ვაშაყმაძე ძალიან კარგად ფლობს საქართველოს სამოქალაქო სამართლის მატერიალურ და საპროცესო საფუძვლებს. წარმოდგენილ გადაწყვეტილებათა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სწორად აცნობიერებს მის მიერ საქმეთა განხილვა-გადაწყვეტისას გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და სამართლებრივ დანიშნულებას. გააჩნია მათი საგნობრივი ანალიზის უნარი. წარმოდგენილ გადაწყვეტილებების მიხედვით, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს შესწევს უნარი მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები და საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები. იცნობს და საჭიროებისამებრ, ითვალისწინებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკასაც. კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის ეცნობა როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო სასამართლო

			პრაქტიკას. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებები, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართალში, თეორიული ცოდნა და პრაქტიკაში მის გამოყენების შესაძლებლობები საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს პოზიტიურად აქვს შეფასებული.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ოთხ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებაში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია და დასაბუთებულია. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, კანდიდატს შეუძლია სამართლებრივი საკითხის არსის სწორად დანახვა, საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვეთა და მათი საფუძვლიანად გამოკვლევა. ამავდროულად, გასაუბრების პროცესში გაირკვა, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვებზე კანდიდატს გაუჭირდა საკუთარი მოსაზრებების დამაჯერებლად ჩამოყალიბება, მისი პასუხები იყო ზოგადი. თუმცა, მისი საქმიანობიდან გამომდინარე კონკრეტულ სამართლებრივ სფეროში დასმულ საკითხებზე მან გაცილებით ზუსტი და არგუმენტირებული პასუხები გასცა.

			თინა ვაშაყმაძის 12 წლიანი პროფესიული გამოცდილება მოიცავს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში საქმიანობას. კანდიდატი 2018 წლიდან გამწესდა მოსამართლედ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში.
წერის უნარი	18	20	<u>წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ოთხ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ანალიზს, იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებები შესრულებულია გამართული ენით და არის ადვილად აღქმადი. აზრი ნათლად და გარკვევით არის გადმოცემული. შემიძლია დავასკვნა, რომ იგი ზუსტად გადმოსცემს სათქმელს როგორც ენობრივად, ისე პროფესიული სპეციფიკის გათვალისწინებით. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელ საბჭოს, რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15	<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი მეტყველებს

			გარკვევით, საუბრისას მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ძირითადად ლაკონიურად გადმოსცემს. მისი მსჯელობა როგორც წესი თანმიმდევრული და ლოგიკურად გამართულია. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად გადმოსცემს გასაგებად.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის პირველი ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: თინა ვაშაყმაძეს საანგარიშო 975 დღეში დასრულებული აქვს 660 საქმე (დღეში საშუალოდ 0,7 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვისა (93.1) და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (100%) უმაღლესი მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (88,5%) საკმაოდ კარგი მაჩვენებელიც. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ თინა ვაშაყმაძე საქმიანობს მოწესრიგებულად და პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას.

			რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, თინა ვაშაყმაძე პუნქტუალური, შრომისმოყვარე და მიზანდასახული ადამიანია, აქვს სტრესული სიტუაციის მართვის უნარი და კარგი მენეჯერული თვისებები.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თინა ვაშაყმაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით (2010 წელს), ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით (2007 წელს), პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2016 წელს). კანდიდატმა 2012 წელს გაიმარჯვა ,,American councils"-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და მონაწილეობდა საერთაშორისო განათლების ამერიკული საბჭოების მიერ ადმინისტრაციულ პროგრამაში ,,Open Word" ამერიკის შეერთებულ შტატებში ვაშიგტონსა და ატლანტაში იურიდიულ სფეროში ამერიკული გამოცდილების მისაღებად. კანდიდატის მითითებით, 2012 წლის 19 ოქტომბრიდან არის იურიდიული კომპანია ,,Hall, Booth, Smith p.c -სა და ატლანტის (ჯორჯიის შტატი, აშშ), სამართლებრივი საზოგადოების საპატიო წევრი. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ კანდიდატი დახასიათებულია პროფესიონალად, რომელიც მუდმივად მიისწრაფვის ცოდნის გაღრმავებისკენ, ამასთან ინტენსიურად ეცნობა უზენაესი სასამართლოსა და ევროპული

			სასამართლოს პრაქტიკას. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> ბოლო წლების განმავლობაში დაესწრო სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ 12 სემინარსა და ერთ ტრენინგს. კანდიდატის სამეცნიერო პუბლიკაციების ან სხვა სახის პროფესიული აქტივობისა და დამსახურებების თაობაზე ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის.
ქულათა ჯამი	93	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

ხელმოწერა: